

“ვეფხისტაოსნის” ლექსთოზობის საკითხები*

ჯრსებობს ენაში ისეთი კანონზომიერებანი, რომლებიც სისტემაში ლატენტურადაა წარმოდგენილი. ხშირად ასეთი კანონზომიერებანი განსაკუთრებულად რელიეფურად და გამოკვეთილად წარმოგვიდგება სპეციფიკურად სტრუქტურირებულ მეტყველებაში, როგორსაც პოეტური მეტყველების ანალიზი და შესწავლა მნიშვნელოვანია არა მარტო ამა თუ იმ ენის ლექსთოზობის თვალსაზრისით, არამედ თვით ამ ენობრიფი სისტემის შესწავლის თვალსაზრისითაც, იმ კანონზომიერებათა გამოსავლენად, რომლებიც მოცემული ენობრიფი სისტემისთვისაა დამახასიათებელი. ამ შერივ ლექსთოზობის სტრუქტურული ანალიზი ენის საერთო შესწავლის ერთერთ ძირითად ასპექტს წარმოადგენს. სტრუქტურული პოეტიკა ამ თვალსაზრისით შესაძლებელია ენათმეცნიერების ერთ-ერთ დარგად იქნეს განხილული. შემთხვევითი არ არის ის, რომ თანამედროვე სტრუქტურული პოეტიკის წარმომადგენლები ამავე დროს გამოჩენილი ენათმეცნიერები არიან. ეს ბუნებრივიცაა: ის ძირითადი ცნებები, რომლებითაც ოპერირებს სტრუქტურული პოეტიკა (მარცვალი, ფონემა, თანხმოვანი, ხმოვანი, მახვილი, ტონი, რიტმი, ინტონაცია და სხვ.), უპირველეს ყოვლისა, ლინგვისტური ცნებებია. ეს ცნებები ენათმეცნიერებაში განიმარტება.

აკადემიკოს გიორგი წერეთლის ნაშრომი „ვეფხისტეაოსნის“ რიტმისა და მეტრის შესახებ, სადაც მოცემულია „რუსთველის ლექსის“ სტრუქტურული ანალიზი, წარმოადგენს ქართული ერთსიაფიკაციის საკითხების სრულიად ახლებურ და ორიგინალურ გაშუქებას. როგორც ცნობილია, რუსთველური ოთხსტრიქონიანი სტროფის ძირითად ერთულს გარითმული თექვსმეტმარცვლიანი სტრიქონი წარმოადგენს. ყოველი თექვსმეტმარცვლიანი სტრიქონი იყოფა ორ რვამარცვლიან ნახევარსტრიქონად ან ნახევარკარედად. თექვსმეტმარცვლიანი სტრიქონის ორ რვამარცვლიან ნახევარკარედად დაყოფა ნიშანებს იმას, რომ ყოველი მერვე მარცვლის შემდეგ აუცილებლად გვაქვს სიტყვის ბოლო, ე. ი. სიტყვა არ გადადის ერთი ნახევარკარედიდან მეორე ნახევარკარედში. ამგვარად, ძირითადი ნიშანი ცეზურისა, რომელიც ყოფს თექვსმეტმარცვლიან სტრიქონს ორ ნაწილად, არის სიტყვის დასრულება ყოველი მერვე მარცვლის შემდეგ. რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით თვით რვამარცვლიან ნახევარკარედებში? ირკვევა, რომ სტროფების ერთ გარკვეულ სიმრავლეში რვამარცვლიანი ნახევარკარედები თავის იყოფა ერთი და იმავე სილაბური სიგრძის, ე. ი. ოთხ-ოთხი მარცვლის შემცველ ორ სეგმენტად. მაშასადამე, ამ ნახევარკარედებში ყოველი მეოთხე მარცვლის შემდეგ აუცილებლად არის სიტყვის ბოლო, ანუ თითოეული

* თ. გამურელიძის გამოსვლა «საქართველოს მწერალთა კუთხირისა» და «„ვეფხისტეაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის» გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს გიორგი ჭერიძის მოხსენების „ძეგლი და რიტმი ვეფხისტეაოსნში“ განხილვას (იხ.  1972 წ. 26 მაისი).

ამგვარი სტროფის ყველა ნახევარკარედში გვაქვს ცეზურა ყოველ მეოთხე და მეხუთე მარცვალს შორის, რომელიც ახალ სიტყვას იწყებს. ამ ნიშნით ამგვარი სტროფების ნახევარკარედები ქმნიან ერთ საერთო რიტმს, საპირისპიროდ იმ სტროფების ნახევარკარედებისა, რომლებიც ამავე წესით დაიყოფა ხუთ- და სამ- მარცვლიან სეგმენტებად. რვამარცვლიან ნახევარკარედებში ოთხმარცვლიანი სეგმენტების მონაცვლეობა და ხუთ- და სამმარცვლიანი სეგმენტების მონაცვლეობა ქმნის ორ განსხვავებულ რიტმს, რომლებიც ცნობილია ტრადიციულად შესაბამისად მაღალი და დაბალი შაირის სახელწოდებით. როგორც ყოველი თექვსმეტმარცვლიანი სტრიქონი იყოფა ორ რვამარცვლიან ნახევარკარედად სიტყვათა მახვილების გაუთვალისწინებლად, ასევე თითოეული რვამარცვლიანი ნახევარკარედი იყოფა ორ ოთხმარცვლიან სეგმენტად ან ხუთ- და სამმარცვლიან სეგმენტებად ისე, რომ სიტყვის მახვილი ამგვარ დაყოფაში არავითარ როლს არ თამაშობს. მახვილი ამგვარ სეგმენტებში ბუნებრივად ნაწილდება სიტყვებში, რომლებიც მოცემულ სეგმენტებს შეადგენს (ოთხმარცვლიან სეგმენტებს „მაღალ შაირში“, ხოლო ხუთ- და სამმარცვლიან ან სამ- და ხუთმარცვლიან სეგმენტებს – „დაბალ შაირში“). ამგვარად, მახვილი რუსთველის ლექსის რიტმიკაში არ თამაშობს განმსაზღვრულ როლს. რიტმიკული ერთეულების, სეგმენტების ანუ ტერფების გამოყოფა რუსთველის ლექსში არ ემყარება სტრიქონის შემქმნელ სიტყვებში მახვილის განაწილებას. **რუსთველმა** შეარჩია თავისი პოემისათვის ერთი მეტრის ფარგლებში ორი სხვადასხვა რიტმი, რომლებიც გარკვეული სიგრძის სილაბური მონაკვეთების რეგულარულ მონაცვლეობას ემყარება (სიტყვათმახვილის გათვალისწინების გარეშე), რაც შესანიშნავად გუება ქართული ენის ბუნებასა და პროსოდიულ თავისებურებებს, სადაც მახვილი ფონოლოგიურად უფუნქციოა, არაღიარებულია და მხოლოდ ფონეტიკურ, სიტყვის თანმხლებ ანთროპოფონურ ოდენობას წარმოადგენს (მდრ. ამ მხრივ სილაბური ფრანგული ლექსი).

რვამარცვლიანი ნახევარკარედის დაყოფა ორ ოთხმარცვლიან სეგმენტად (ტერფად) და სამ- და ხუთმარცვლიან ან ხუთ- და სამმარცვლიან სეგმენტებად (ტერფებად), რომელთა მონაცვლეობა განსაზღვრავს რუსთველის ლექსის რიტმიკას, არის ძირითადი დებულება **გიორგი წერეთლის** გამოკვლევისა, რასაც ემყარება რიგი ენობრივი კანონზომიერებების გამოვლენა. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია მიჯნის ფაქტორი, რასთანაც დაკაგშირებულია ბევრი ენობრივი მოვლენა, როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული ხასიათისა. ლექსორიგის საკითხებში მიჯნის ფაქტორი, გარკვეულ შემთხვევაში, განმსაზღვრულ სტრუქტურულ როლს თამაშობს და ამ ფენომენის წარმოჩენა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში **გიორგი წერეთლის** დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

რვამარცვლიანი ნახევარკარედის ფარგლებში ხუთ- და სამმარცვლიანი სეგმენტების მონაცვლეობა, რაც დაბალი შაირის რიტმიკას განსაზღვრავს, წარმოადგენს რაოდენობრივ შეფარდებას, რომელიც ცნობილია ოქროს კვეთის ან სრულყოფილი პროპორციის სახელწოდებით. რუსთველის მიერ ამ პროპორციის

შეგნებული გამოყენება ლექსში ქართველ პოეტს მსოფლიო
პოეზიის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებულ აღგილს
უძვიდრებს.

გიორგი წერეთლის მიერ ჩატარებული ანალიზი რუსთველის
ლექსისა წარმოადგენს თანამედროვე სტრუქტურული პოეტიკის
ბრწყინვალე ნიმუშს, რომელსაც, უდავოა, დიდი საერთაშორისო
რეზონანსი ექნება. იგი განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევს
ენათმეცნიერებსა და ლექსთწყობის სპეციალისტებში. ამ
გამოკვლევის ვრცელი გარიანტის გამოქვეყნება (ტიპოლოგიური
შედარებებით დანტეს ლექსთან და კლასიკურ ფრანგულ
ალექსანდრიულ ლექსთან) უკვე ითხოვეს დანტეს სამშობლოში.

ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რუსთველის
განუმეორებელი ლექსის სტრუქტურის ფართო გაცნობას და იმ
დონის ჩვენებას, რომელსაც მიაღწია სტრუქტურულმა პოეტიკამ
ამ ბოლო დროს ქართულ მეცნიერებაში.
